

დუკა და აზნაური

კაცი ვინმე იყო აზნაური ქვეყანასა ბეჩისასა. ჰყვა ვაჟიშვილი ერთი, შემკული ყოვლითა სიკეთითა და დიდად შვენიერი იყო. უთხრა მამასა თვისსა:

- მნებავს მსახურ-ყოფა დუკასი, წარმიყვანე და შემავედრე!

- ორსა მცნებასა გასწავლი, მეფუცე დაიმარხო და ნებასა აღვისრულები!

ჰვიცა ძემან მისმან:

- ყოველი მცნება შენი ვყო.

ამცნო:

- პატრონისა შენისა სახლსა შინა ნუ ისიძავ და მეორე, თუცა რეკა გესმას, ტაძრად მივედ, დიდიცა საშური საქმე გედვას, ვირვ ლოცვისა დასრულებადმდე ნუ წახვალ!

და იმცნო ესე. წარიყვანა და მიართვა დუკასა, პატრონსა ბეჩისასა. ესრე კეთილ-მსახურ ექმნა და შეაყვარა თავი, ძეთა თვისთა იგი ერჩივა და ყოველი საქმე მისი ხელთა მისთა მისცა. შეგზავნა შინა საქმესა რასმე ზედა. თვალაგნა ცოლმან მისმან და ევედრა მასთანა დაწოლას. მან არა ჰყო პატრონისა ორგულება და მამის მცნების გატეხა.

სხვა იყო შვილი აზნაურთა იგიცა, ორნივე ამხანაგად მსახურებდენ. იგი მეორე შეიხვია და მას ყრმასა ერისხებოდა. მეორედ შევიდა საქმესა რასამე ზედა, ნახა ორნივე იგინი ერთად. გამოვიდა და არა თქვა რა.

შევიდა დუკა ცოლთანა. დიდად გარისხებული დახვდა. უთხრა: - თუცა კაცი იყო, მონა შენი მე არა ხელსა მყოფდა.

შეასმინა ყრმა იგი, რომელმან ნება მისი არა ჰყო. გამოჰვიდა დუკა გარისხებული. დილასა უბრძანა მეხრმლესა:

- დღეს პირველად რომელი გამოვგზავნო შენთანა და გითხას: რა ჰქენი ბრძანებულიო? მას თავი მოკვეთე და მეორედ რომელი მოვიდეს, მას მიეც თავი მისი და გამომიგზავნე!

უბრძანა ყრმასა მას უბრალოსა:

- წადი, კაცსა მას უთხარ რა უყო ბრძანებულიო?

წავიდა ყრმა იგი და მიმავალსა ესმა რეკა, მოაგონდა მცნება მამისა, მიექცა, ლოცვის დასრულებადმდე დავეყვნა. მერმე გაგზავნა ყრმა იგი შემცოდე. მივიდა პირველად იგი, უთხრა კაცსა მას: რა უყავ ბრძანებულიო? შეიპყრა და თავი მოკვეთა და დადვა მუნ. დასრულებასა ლოცვისასა წარვიდა ესეცა. მივიდა კაცსა მასთანა. მოსცა მან კაცმან თავი იგი და მოართვა

დუკასა.

რა ნახა დუკამ, დიდად გაკვირდა და უთხრა: აქამომდე სად დაი- ყოვნეო!

მოახსენა მან ყრმამან მამას ვით ემცნო და ანუ ვით ფიცი მიეცა და ტაძრად დაყოვნება. მერმედ აფიცა დუკამან და ყოველივე ნახული ათქმევინა. რა უბრალობა შეიტყო, სწორ თავისა ჰყო.

- მეფეო, პატრონსა თუცა მონა უყვარს, ადრე არ უნდა შეიბეზლოს. მეფისა კართა მდგომნი კაცნი მრავალს ოცნებას იქმონენ და ხერხსა და ხრიკსა ცდილობენ, რათა შეაძაგონ იგი.

უბრძანა მეფემან:

- რა გინდ ბევრი იუბნა, ღმერთს თავი შენი ჩემთვის მოუცია. აჰა ნიშანი შენი, რომელი შენვე მომეც ძილსა შინა!

ნახა სახე თვისი, თაყვანი სცა მეფესა და დამორჩილდა, წამოყვა, წამოვიდნენ. მოვიდენ ქალაქსა მეფისასა, დაიდვეს ნადიმი, განისვენეს. ოდეს გათენდა და შავთა უფსკრულთა ფარდაგი ცეცხლისა ალისა მსგავსისა მზის შუქითა დაიხივა, მისნი ელვარე მოციქულნი ხმელეთსა გამოუგზავნნა, წავიდა მეფესთან ლეონ.

მეფემან მოიყვანა ძე თვისი საყვარელი ჯუმბერ, მოსცა ხელთა და უთხრა: ეგე ორნივე ღვთისათვის და ეგ შენდა შემოგივედრებიაო!

მოახსენა ლეონ:

- დღეს ვნახე ნიშანი წახდენისა ჩემისა. მე მონა ვარ შენი და დაგემონო. ძისა შენისა გაწვრთნა არ ძალმიც. მე ვითაც ველოდი მტერთაგან ჩემსა წახდენასა და შესმენასა წინაშე მეფობისა თქვენისა, აწ ამით უდიდე შემცოდე ვიპოვები.

თქვა ლეონ არაკი: